

მაოხრებელი მკვდარი

კლარჯეთის თემსა, სოფელსა ერთსა იყო ერთი გზირი, ანჩხლი და მტერი სოფლისა მის. შეაწუხა იგი სოფელი და სრულიად ააოხრა. მოიგონის მიზეზი, უთხრის თათართა და მრავალი ვეცხლი წაართმევინის.

მოვიდა დღე გზირის სიკვდილისა. მოიხმო სოფლის კაცი და ეგრე უთხრა:

- მე თქვენთვის ბევრი შემიცოდებია, და რათგან ცოცხალს ვერა მაწყინეთ რა, გაფიცებთ ღმერთსა, რა მოვკვდე, თოკი ყელს მომაბით, გამათრიეთ და ხეზედ ჩამომკიდეთ!

რა მოკვდა, სცთნენ კაცი იგი და, რაც უთხრა, ყველა ჰყვეს.

ნახა ვინმე თათარმან გზირი ხეზედ კიდებული, წავიდა, ყადს უთხრა: ჩვენი გზირი დაურჩვიათო.

გამოუსივეს კაცი სოფელსა მას. ათასი მარჩილი წაართვეს. დაუწყეს გინება გზირსა: ცოცხალმან მოგვთხარა და მკვდარმან აგვაოხრაო!

- მასავით შენ ცოცხალიც წახდენას მიპირობ და მკვდარი უარესს მიზამ. ვიცი, ვერ გარდაგიჩებო.

რუქამ უთხრა:

- ლეონ, მე შენს სიკვდილს და გაგდებას არა ვდეგ. მე მეფისა ჩემისა უმჯობესისა პოვნა მინდა და შენ თუ ამასთან იყოფვი, დიდი დასაკლისია.

თქვა რუქამ არაკი: